

მონიტორინგის მთავარი მიზნები

22, 4-17 აგვისტო

4-17 აგვისტოს პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიმულვილის ენა კვლავ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მიმართ იყო გამოხატული;
- რასისტული შინაარსის განცხადებას სააგენტო საქინფორმი, რუსულ წყაროზე დაყრდნობით, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ავრცელებდა, რომელიც, თავის მხრივ, გადაუმოწმებელ ფაქტებს

ეყრდნობა. მასალას თან ერთვის არაიდენტიფიცირებული შავკანიანი პირის ფოტო, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც უკრაინაში სამთავრობო ძალების მებრძოლი;

- ქსენოფობიას ძირითადად თურქეთის მიმართ პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი გამოხატავდა;



გაგრძელება გვ. 2

არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დისკრიმინაციული გაშუქების ფაქტების გამო

8 აგვისტო, 2014

6 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო პროგრამაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ამერიკაში, კანზასის შტატში მშობლების დაუდევრობით მომხდარ უბედურ შემთხვევას შეეხებოდა. კერძოდ, 10 თვის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი მშობლების მიერ მისი მანქანაში დატოვება და 30 გრადუსიანი სიცხე გახდა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ სიუჟეტში სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირებით და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციით მაუწყებელი საზოგადოებაში შეუწყნარებლობის გარემოს გაღრმავებას უწყობს ხელს.

გაგრძელება გვ. 11

შინაარსი

| | |
|--|-----|
| სიმულვილის ენა | 2 |
| რასიზმი | 2 |
| ქსენოფობია | 3 |
| ეთნიკური და რელიგიური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება | 3-4 |
| ანტიდასავლური განწყობები | 6-9 |
| ჰომოფობია | 9 |
| სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება | 10 |

მონიტორინგის მთავარი მიგნებები

დასაწყისი გვ. 1

- ხდებოდა პირთა როგორც ეთნიკური, რელიგიური, ასევე სექსუალური იდენტობის უსაფუძვლოდ მითითება;
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია იეპოვას მოწმეთა მიმართ სასულიერო პირის მხრიდან გამოიხატა, ხოლო Geworld.ge არასწორ ფაქტებს როგორც სომხურ საკულტო ნაგებობასთან, ასევე სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან დაკავშირებით ავრცელებდა;
- იმატა ანტიდასავლურმა განწყობებმა როგორც ასოცირების ხელშეკრულებასთან, "კაზანტიპის" ფესტივალთან და ლგბტ პირთა უფლებებთან დაკავშირებულ კონტექსტში, ასევე ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი დევნის პროცესის შეფასებასთან მიმართებაში, რაც ხშირად ცალკეულ პირთა კორუფციულ ინტერესებთან იყო გაიგივებული;
- კაზანტიპის ფესტივალი გაიგივებული იყო როგორც სექსუალურ უმცირესობებთან, ასევე დასავლურ ღირებულებებთან.



საქინფორმი:

"ვარაუდი იმის თაობაზე, რომ Homo negritosus-ის სახეობის წარმომადგენელი უკრაინელებმა ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გაიტაცეს და, სუვენირის სახით, ჯავშანტრანსპორტიორით წაიყვანეს, თავდაპირველი სამუშაო ვერსია იყო... დღეისათვის ეს იშვიათი ეგზემპლარი თავის დროზე სააკაშვილის არმიის მრჩეველად მსახურობდა."

სიკულვილის ენა

ასაგალ დასაგალი, 11-17 აბვისტო

ღიბო ჩუბინიკი, ჟურნალისტი: „ვინც 26 ათასი ქართველი მამაკაცი გააუპატიურა და ხალხს უკანალში ცოცხი გაურჭო, ის ხალხი სწორედაც ღირსია სარზე წამოაგო და მერე ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური შტაბის კედელზე ააყუდო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე!“

რასიზმი

საქინფორმი, 5 აბვისტო

"ვარაუდი იმის თაობაზე, რომ Homo negritosus-ის სახეობის წარმომადგენელი უკრაინელებმა ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გაიტაცეს და, სუვენირის სახით, ჯავშანტრანსპორტიორით წაიყვანეს, თავდაპირველი სამუშაო ვერსია იყო, თუმცა ჯავშანტრანსპორტიორში ნაპოვნმა უკრაინელი ნაციონალისტის ტანსაცმელმა, რომელიც ფერადკანიანმა

გაიხადა, რათა ბუნებრივი შენობა გამოეყენებინა, პირწმინდად უფლებებელყო ეს ვარაუდი, ხოლო როცა ზანგმა ქართულად დალაპარაკება სცადა, ყველა ეჭვი გაქარწყლდა - დღეისათვის ეს იშვიათი ეგზემპლარი თავის დროზე სააკაშვილის არმიის მრჩეველად მსახურობდა."

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19944:2014-2008-&catid=109:arno&Itemid=538#axzz3AkVt5DeQ

ქსენოფობია

GEWORLD.GE, 14 აგვისტო

ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტა

ალიანსი: „არ გვედარდება, ეს უნიკალური [თურქეთის ტერიტორიაზე, ტაო კლარჯეთში მდებარე ქართული ისტორიული ძეგლები], მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლები დღემდე რომ ინგრევა და ნადგურდება «მეგობარი და პარტნიორი თურქეთის» (თუ ჩვენი ისტორიული მტრის?), მოკლედ რომ ვთქვათ, «დახმარებით»... აღარაფერს ვამბობ სააკაშვილის ფაშისტური ხელისუფლების პროთურქულ სახელმწიფო თუ «საოჯახო» ორიენტაციაზე ანდა დღევანდელი თურქული სერიალებით ავსებულ ტელევიზორებზე, მაშინ, როცა ქართული კინო სულს დაფავს... თურქულმა გენმოდფიცირებულმა, შხამქიმიკატებით და სასუქებით გაჯერებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქტმა ლამის მთლიანად განდევნა ჩვენი გლეხი ქართული ბაზრიდან.“
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6125>

ალია, 8 აგვისტო

შანა ასანიძე, ჟურნალისტი: „თავის

მხრივ, საქართველო სავიზო რეჟიმს ამკაცრებს. სააკაშვილის ხელისუფლების დროს 118 ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ უვიზოდ შემოსვლის უფლება და ამ ქვეყნებიდან უმეტესობა ე.წ. „მშიერ“ ქვეყნებს წარმოადგენს. გაურკვეველი წარმოშობის ხალხით გაივსო თბილისი და ამითაც ხომ არაა განპირობებული სავიზო რეჟიმის გამკაცრება?“

ასაგალ-ღასაგალი, 11-17 აგვისტო

ვაჟა საჭაპურიძე, დევნილი:

„ზუსტად ვიცი, რომ სოფელ იორ-მულალოს სახნავ სათესი სავარგულები „ნაცბანდამ“ ძალზე საეჭვოდ მცირე ფასად მიჰყიდა არა იორმულალოელებს ან საქართველოს სხვა მოქალაქეებს, არამედ ვიღაც თაღლით არაბს! დაიხაც, თაღლითს! არ წამომცდა, რადგან პატიოსანი უცხოელი ნაციონალებთან საქმეს არავითარ შემთხვევაში არ დაიჭერდა!“

ეთნიკური და რელიგიური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

საქინფორმი, 18 აგვისტო

არნო ხიდირაბიშვილი საქინფორმის მთავარი რედაქტორი:

„[დევიდ] კრეიმერი ნაწილობრივ მართალია - ავანტიურისტ მიშა სააკაიანსა და იულია გრიგიანს, სომხური წარმოშობის გარდა, საერთო ნამდვილად ბევრი აქვთ...“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20086:2014-08-18-07-23-21&catid=98:politics&Itemid=457#ixzz3Av0LleHC

კპირის ქრონიკა, 11-17 აგვისტო

მამისა ჯაფარაშვილი, აქციის ორგანიზატორი:

„მიშას დროს არსებობდა და ახლაც არსებობს ერთი მევახშე, ედუარდ ნინუაშვილი, რომელმაც მინიმუმ 40 სახლიდან გამოასახლა ხალხი, არის იელოვას მოწმე, გახლავთ უხუცესი. ამ კაცს მფარველობს „რესპუბლიკური პარტია“, უშუალოდ დავით უსუფაშვილი.“

გაგრძელება გვ. 4

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ალია, 5 აგვისტო

ბასილ მკალაპიშვილი, მღვდელი: "პროგრესულად გამრავლებულმა იელოველთა სექტამ გზა გაუკაფა ყოველგვარ აღვირახსნილობას."

ვკადავებდი იმას, რომ საპატრიარქოს უმოქმედობით ისევ მომძლავრდებოდა იელოველთა სექტა, მმართველ ორგანოებს დაიჭერდნენ და მერე საპატრიარქოს მიადგებოდნენ. დღეს ფაქტი სახეზეა, არათუ სექტანტები, არამედ მათი დამცველები - ბოკერია, თუთბერიძე, უგულავა და საერთოდ, მაგათი ზანდა ებრძვიან ეკლესიას, მართლმადიდებლობას."

GEWORLD.GE, 6 აგვისტო

ჟურნალისტი ავრცელებს არასწორ ფაქტებს სომხურ ეკლესიაში ოფიციალურ პირთა ვიზიტის შესახებ.

ნიკა მაისურაძე, ჟურნალისტი: „2008 წლის დეკემბერში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სომხეთის პრეზიდენტი - სერჟ სარგსიანი. მან, სხვა სომეხმა სტუმრებმა და პარლამენტარმა გოგა ხაჩიძემ შეამტვრიეს ერთ-ერთი ეკლესიის კარი, რომელსაც სომხები იჩემებენ..."

2008 წლის 10 აგვისტოს მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში, უცნობმა პირებმა წმინდა გიორგის ტაძარი შეურაცხვეს. ქანდაში საკმაოდ ბევრი სექტანტი ცხოვრობს და, სავარაუდოდ, ეს საშინელება მათ ჩაიდინეს..“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6104>

ოზიქიტივი, ღამის სტუდია, 5 აგვისტო

ტილემაყურებელი: "ვის ქვეყანას ვაშენებთ? ვის ვუშენებთ ქვეყანას, არამართლმადიდებლებს, არაქრისტიანებს თუ ქართულ მართლმადიდებლურ ქვეყანას ვაშენებთ, აი ეს კითხვები მაქვს?"

http://www.myvideo.ge/?video_id=2390459



ბასილ მკალაპიშვილი, მღვდელი:

"პროგრესულად გამრავლებულმა იელოველთა სექტამ გზა გაუკაფა ყოველგვარ აღვირახსნილობას."

ანტიდასავლური განწყობები

GEWORLD.GE, 12 აგვისტო

საზოგადოება "ზუგდიდელის" განცხადება:

"ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა დასავლეთის მიერ ჩვენი ქვეყნისთვის თავსმოხვეული, შორს გამიზნული ანტიდისკრიმინაციული კანონი მაინც მიიღო.

...ეტყობა, თანდათან ძვალ-რბილში გვიჯდება ე. წ. დასავლური თეზა: "ადამიანი, რომ დაიმონო, ჯერ იგი უნდა გაათახსირო, მერე კი ნახირად უნდა აქციო".

...აქვე გვინდა მოვიყვანოთ ანტიქრისტეს მოციქულის _ პოლონელი-ებრაელის, "სამასთა კომიტეტის" წევრის, ზბიგნეუ ბუჟეინსკის ერთი "ფრთიანი" ფრაზა: "კომუნიზმის

დანგრევის შემდეგ დასავლეთ სამყაროს ნომერ პირველი მტერია მართლმადიდებლობა".

<http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=11427>

ალია, 5 აგვისტო

ბასილ მკალაპიშვილი, მღვდელი:

"ჩვენ დავივიწყეთ უფლის დანაბარები და ყოველივე ქრისტიანული, გადავწყვიტეთ, გავხდეთ ცივილიზებული ევროპელები, მივუახლოვდეთ ევრო ოჯახს და ყოველნაირად მოვერგოთ მათ სისტემას, "კაზანტიპი" რატომ გვიკვირს?! ასოცირების ხელშეკრულებას რომ ხელი მოაწერეს და ზეიმობდნენ, აი, მე მივმართავ იმ სასულიერო

გაგრძელება გვ. 5

ანტიდასავლური განწყობები

პირებს, იქ უნდა მოგვეწყოს საპროტესტო აქცია და არა ანაკლიაში.

...აკი მოლდოვაში უკვე ამოქმედდა ევროკანონი, "მამა და დედა" აიკრძალა, თუმცა ჩვენთან ამას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა პარლამენტის სხდომაზე ვაი ქართველებმა, ბერძენიშვილებისა და დავითაშვილების ხელშეწყობით პირადობის მოწმობიდან ამოიღეს ეროვნება და მამის სახელი...

იქიდან, სადაც მივიღტვით, გველოდება ახალგაზრდების გარყვნა, ოჯახის სიწმინდის შერყევა, ტრადიციების გაცამტვერება, ახლო ნათესაობითი ურთიერთობის წაბილწვა, ინცესტი და რაც მთავარია, სარწმუნოების უგულუბელოება."

ოზიმიტივი, ღამის სტუდია, 13 აპრილი

რეჟო ამაშუკელი, პოეტი: "...85 % ამათი უსაქციელობების გამო, ელგებეტე, ამათი რა ქვია, შეტრიალდა ისევ რუსეთისკენ იმიტომ, რომ ეს რუსი არ მეუბნება მე ძმაო, რომ მოიყვანე ბიძაშვილი ცოლად ისიც ბიჭიო..."

ებლა როდესაც ამ კანფეტებით და ამ მაკდონალდებით და ამ შოუებით და იმითი მოდიხარ, შენ მე წამართვი, აქ თაობები წამართვი, ახალგაზრდობა წამართვი, წიგნი აღარავის არ უნდა, თავგამოდებით ებრძვი, ხმალამოდებული ებრძვი ეკლესიას და რატომ ებრძვი? იმიტომ, რომ შენ წაშალო ჩემი ყოფიერება, ჩემი მდგრადობა და დამამგვანო იმას, რაც არის ევროპაში. არ გამოვა ესე, ქართველები ამოვწყდებით და ეს ამბავი. რატომ, იცით? გენეტიკურად არ, რაღაცა იმუნიტეტი აქვს ქართველს ამისი...

რა უნდა პირიქით უნდა მოსპოს (ამერიკამ),

ჩემი კულტურა უნდა მოსპოს ყველაფერი უნდა მოსპოს, ეს შოუები მართო ამას ემსახურება."

http://www.myvideo.ge/?video_id=2393365
http://www.myvideo.ge/?video_id=2393367
http://www.myvideo.ge/?video_id=2393392

ასავალ-დასავალი, 11-17 აპრილი

თამაზ წიფიშვილი, მწერალი: "...მე ევროპელი და ამერიკელი მამაკაცების გაგება მიჭირს - ხშირად კაცი რომ მგონებია, ქალი აღმოჩენილა! პირიქითაც მომხდარა!.. თუმცა, სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, რომ მაკ-კეინი და მისი კბილა ყოფილი მამაკაცები ამ ერთხელ ნამდვილი მამრებივით მოქცეულან - ჩვენს პრემიერს საპროტესტო წერილებს წერენ და არა - სატრფიალოს!

საერთოდაც მინდა, შევნიშნო, ჯაბა, იქაურ მამაკაცებს კანონიც ბევრის უფლებას აძლევს! მაგალითად, მუშათა კლასის წარმომადგენელს (თუ ოდნავ შეხედულიცაა!) თავისუფლად შეუძლია, ცოლად ამავე ქვეყნის მამაკაცი პრეზიდენტი მოიყვანოს და თავლობის თვეც მის სხეულზე გადამჯდარმა გაატაროს!"

ასავალ-დასავალი, 4-10 აპრილი

რეჟო ამაშუკელი, პოეტი: "ვინ არის ეს მაკკეინი, საქართველოს მოუშუშებელი ჭირი?! ქართველმა ხალხმა თავის დროზე რუსეთს ზურგი შეაქცია და დასავლეთისკენ მოტრიალდა, მაგრამ ამერიკელებმა და ევროპელებმა იმდენი უსვეს თავზე ხელი სააკაშვილს და მის სისხლიან ხროვას, ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტი ისევ რუსეთისკენ შებრუნდა!"



რეჟო ამაშუკელი, პოეტი: "...85 % ამათი უსაქციელობების გამო, ელგებეტე, ამათი რა ქვია, შეტრიალდა ისევ რუსეთისკენ იმიტომ, რომ ეს რუსი არ მეუბნება მე ძმაო, რომ მოიყვანე ბიძაშვილი ცოლად ისიც ბიჭიო".

ანტიდასავლური განწყობები

საზოგადოებრივი მაუწყებელი,
მოკვლევა, 12 აგვისტო

ბობა საინდრაგა, კინორეჟისორი:

„დაახლოებით თვე-თვენახევარში მე ამომწურავი ინფორმაცია მექნება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ღებულობდა ამ კორუფციულ ფულს კარლ ბილდტი, და ანაწილებდა ევროპაში სხვადასხვა ლობისტურ ორგანიზაციებში.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2396297

ასავალ-დასავალი, 11-17 აგვისტო

რეზო ამაშუკელი, პოეტი: „ეს კარლ ბილდტია, ბილწი თუ ბოლტი, ვერავინ დამარწმუნებს, რომ სააკაშვილი მაგას ფულის გარეშე უყვარს! ეს სულელი-გადარეული იყო ბუშის ადმინისტრაციის პროექტი, რომელიც ჩავარდა და იმდენი ფული აქვთ ჩაყრილი ამ გიჟში, ვერ ელევან.“

ასავალ-დასავალი, 11-17 აგვისტო

არნო სილირბეგიშვილი,

საქინფორმის მთავარი რედაქტორი:

„საკაშვილი მათ [კარლ ბილდტსა და სენატორებს] ფეხებზე ჰკიდიათ, ხოლო აღშფოთებული ტონი ექსპრეზიდენტის მიმართ პოლიტიკური შურისძიების დაუმშვებლობაზე მხოლოდ და მხოლოდ ფანდია, რომლის საშუალებითაც უნდა აიძულონ საქართველო, შეუერთდეს ევროკავშირისა და აშშ-ის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზების განთავსება მოხდეს.“

ასავალ-დასავალი, 11-17 აგვისტო

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: „ღმერთმა

ნუ ქნას, დადასტურდეს, რომ ეს ბილდტები ოფიციალური მექრთამეები და ფულზე გაყიდული პოლიტიკანები არიან, თორემ, აი მაშინ, საქართველოს მოსახლეობა უკვე საბოლოოდ დაკარგავს რწმენას ევროპა-ამერიკის დემოკრატიულობაზე!“

პვირის ქრონიკა, 11-17 აგვისტო

ნიკო სამხარაძე, ჟურნალისტი:

„ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების საქმიანობის ეჭვქვეშ დაყენება მხოლოდ აგრესიას გამოიწვევს იმ დასავლელი პოლიტიკოსების მიმართ, ვინც მიმას დაცვას ამჯობინებს ქართველი ხალხის ინტერესებს... საინტერესოა, ობამას რომ სამხედრო ძალის გამოყენებით დაერბია მიტინგი, მოეკლა მშვიდობიანი მანიფესტანტები, მისი მითითებით გაეუპატიურებინათ პატიმრები, ნულოვანი ტოლერანტობა რომ გამოეცხადებინა, რას იზამდა სააკაშვილის მეგობარი ჯონ მაკკეინი? ალბათ, წარსულს გაიხსენებდა და ავტომატით გადაცხრილავდა ობამასა და მის „რეჟიმს“.“

ალია, 7 აგვისტო

ნიკო სამხარაძე, ჟურნალისტი:

„როგორ ფიქრობთ, რა საფასური გადაუხადეს „ნაციონალებმა“ კარლ ბილდტს და ზოგიერთ წამყვან დასავლელ პოლიტიკოსს, რის გამოც ისინი ასეთი თავგანწირვით იცავენ?“

ანტიდასავლური განწყობები

საქინფორმი,
4 აბზისტო

არნო ხიდირაბიშვილი
საქინფორმის
მთავარი რედაქტორი:

"...თუკი რაიმე ყარს ჩვენს
სახლში, ეს,

უპირველესად,

დიმიტროვის მსგავსი

ელჩები, რომლებიც

ადვოკატობას

და სპონსორობას უწევენ

კაცობრიობის წინააღმდეგ

უმძიმესი დანაშაულის

ჩამდენ პირს!"

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19916:2014-08-04-06-58-01&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz3ABTXCzkl

კვირის ქრონიკა, 11-17
აბზისტო

გელა ზედელაშვილი,
ჟურნალისტი:

„დიახაც,

ქართველებს ყველა

საუკუნეში გვყავდა

ქვეყნის გარეთ ვიღაცეები,

ვისთანაც ვიჩივლებდით

[იგლისხმება პრემიერ

ლარიბაშვილის კრიტიკა

არასამთავრობოების

მიმართ და ამ კონტექსტში

ირიბად შტეფან ფულეს

მოხსენიება], ვისთანაც

პირველ პირებს

„ჩავუშვებდით“ და მათ

დასჯასაც მოვითხოვდით.

დიახაც, ჩვენ ასეთი

ურთიერთობები გვქონდა
შაჰ-აბასებთან, ალა მაჰმად-
ად-ხანებთან, საბჭოთა
კავშირის პოლიტიკურის
წევრებთან და ასეთი
ურთიერთობები გვაქვს
შტეფან ფულესებთან, ჯონ
მაკკეინებთან თუ კარლ
ბილდტებთან.“

რეზონანსი,
13 აბზისტო

გაზეთი აქვეყნებს epn.ge-
ის ინფორმაციას

"ევრაზიული არჩევანის"

მიერ დაგეგმილის აქციას

„არა ნატოს“ შესახებ:

ევრაზიული არჩევანი:

„იქნება გამოფენილი

დოკუმენტური ფოტოები

იმ სისასტიკის, რომელიც

ამერიკის შეერთებულმა

შტატებმა და ნატოს

ძალებმა ჩაიდინეს

მსოფლიოს კაცობრიობის

წინააღმდეგ

მრავალკუთხეში. აქციის

მონაწილენი ასევე

მოითხოვენ ჩატარდეს

საყოველთაო

რეფერენდუმი და

დემოკრატიული გზით

გაირკვეს, რა სურს

ქართველ ხალხს: ნატოსა

და ევროკავშირში

ინტეგრაცია, თუ საბაჟო

ეკონომიკურ კავშირში

გაერთიანება და

რუსეთთან სტრატეგიული

თანამშრომლობა“.

საქინფორმი,
4 აბზისტო

არნო ხიდირაბიშვილი
საქინფორმის

მთავარი რედაქტორი:

"ვიყოთ რეალისტები -

უკვე რამდენიმე თვეა, რაც

მსოფლიოში

ჯერჯერობით

ოფიციალურად

გამოუცხადებელი ომი

მიმდინარეობს აშშ-სა და

რუსეთს შორის, რომელიც

აშშ-მა დაიწყო... ეს ორი

სამყაროს ომის,

დასავლეთისა -

აღმოსავლეთთან, ეშმაკის

ბრძოლა ღმერთთან. ერთ

მხარეს პუტინი

მეთაურობს, მეორეს -

სააკაშვილი...

პუტინს რომ

სააკაშვილისთვის 2008

წლის აგვისტოში

მიცემული დაპირება

შეესრულებინა, რომელიც

სარკოზისთან საუბარში

გამოთქვა (და იგი

კვერცხებით დაეკიდა),

დღეს უკრაინაცა და

საქართველოც

სუვერენული და

აყვავებული

სახელმწიფოები

იქნებოდნენ!"

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19909:115:redakciisagan&Itemid=530#ixzz3AAqFOdve

გაგრძელება გვ. 8

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 7 საქინფორმი, 5 აპრილი

ასე და ამგვარად, სააკაშვილს სურს, დაწამლოს ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები, რათა გაიადვილოს სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობა ამ ქვეყნებში ამერიკისთვის კასპიის მიმართულებით ფართოდერეფნის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სტრატეგიული პლაცდარმის შესაქმნელად."

http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19929:-----&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz3AAuCT8Z7

GEWORLD.GE, 7 აპრილი

„აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც ამა წლის თებერვალში უკრაინის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხეს, შემდეგ კი იმავე აშშ-ისა და ევროკავშირის წაქეზებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ უცხოელი დაქირავებულების დახმარებით სადამსჯელო ოპერაცია (ოფიციალურად – «ანტიტერორისტული ოპერაცია») წამოიწყეს, სისასტიკით გადააჭარბეს თავიანთ წინამორბედ

ვაშისტ წინაპრებს.“
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6108>

GEWORLD.GE, 13 აპრილი

„ევროკავშირისა და აშშ-ის ლიდერების მიერ წაქეზებულმა და მხარდაჭერილმა ნეონაციტებმა მოსრეს და მიწასთან გაასწორეს ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ქალაქები, რომლებიც ჰუმანიტარული კატასტროფის ზონად იქნა აღიარებული მტერ-მოყვრის მიერ. ნეოფაშისტები ებრძვიან მართლმადიდებლობას – სიცოცხლეს ასაღმებენ ღვთისმსახურებს, წვავენ და აფეთქებენ ტაძრებს – მატერიალური კულტურის ძეგლებს.“
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6113>

GEWORLD.GE, 6 აპრილი

სათაური:
„მართლმადიდებლობა ყველაზე დევნილი რელიგია“

ნიკა მაისურაძე, ჟურნალისტი: „ზოგიერთი ევროპელი მორწმუნე ხშირად იძულებულია, საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ წავიდეს და ევროპის ხელისუფლების ანტიქრისტიანულ პოლიტიკას დაემორჩილოს. მაგალითად, ირლანდიაში (3 ათასი მართლმადიდებ-

ბელი ქრისტიანი, მოსახლეობის 0,07%) თითქმის ყველა ეკლესია ვალდებულია, ერთსქესიანთა ქორწინების ცერემონია ჩაატაროს... მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში (არც ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი) დღემდე მოქმედებენ პროტესტანტული და კათოლიკური გასამხედროებული ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან, ხოცვა-ჟლეტა მოაწყონ თავიანთი პოლიტიკური იდეების დასაცავად.“
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6104>

ასაკალ-დასაკალი, 11-17 აპრილი

ელიზბარ ჯაფელიძე, სახალხო კრება: „ეს ამერიკა რომ გვაზის თავზე, იმიტომაც არის, რომ 25 წელია, სახელმწიფო ვერ აგვიშენებია... როგორ უნდა მწამდეს მე იმ დასავლეთისა, რომელმაც ზვიად გამსახურდია ეროვნულობის გამო გაწირა სასიკვდილოდ. სააკაშვილს კი ქართველთა მოძულეობისა და მართლმადიდებლობის მტრობისთვის გახელებული იცავს?!“

გაგრძელება გვ. 9

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 11-17 აბვისტო

ღამით ისაკაძე, დეკანოზი: „ევროამერიკული სტრუქტურები პირდაპირ წნეხში ატარებენ ნებისმიერ ხელისუფლებას, რომ ასეთი ცხოვრების [ლგბტ] წესი დაამკვიდრონ თავიანთ ქვეყნებში. თანაც, ისეთ ტრადიციულ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, ამას შენიღბულად აკეთებენ.“

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 აბვისტო

ნინო რატიშვილი, წამყვანი: „იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონი რატომ მივიღეთ? იმიტომ, რომ დაარწმუნა ჰამერბერგმა ბიძინა ივანიშვილი.. ... გამამრავლებელი და გამჩენები აღარ დაგვრჩება გაჭირვებულ ქვეყანაში.“

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=18131>

ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 11-17 აბვისტო

რეზო ამაშუკელი, პოეტი: „რომ გაიძახით, ბიძია, ადამიანის უფლებები უნდა დავიცვათ და ჰომოსექსუალები კარგი ტიპები არიანო, თუ ასეა, ჰომოსექსუალები და პედერასტები რომ ხართ, რატომ მალავთ ბიძია, ამას?.. თუ გრცხვენიათ თქვენი პედერასტობის, მაშინ ნუ გაქვთ პირი დაღებული და დაანებეთ თავი ამ „ლგბტ“-ს ადვოკატობასა და პროპაგანდას!“

სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება

საზოგადოებრივი გაუფხვებელი, მოამბე, 6 ივლისი

ირაკლი ჩისლაძე, წამყვანი: "ტრაგედია ამერიკაში - კანზასის შტატში არატრადიციული ორიენტაციის წყვილს 10 თვის ქალიშვილი მანქანაში დარჩა. ამ დროს ქუჩაში ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსს აჭარბებდა.

თავად წყვილი კი სერიალ "სამეფო კარის თამაშების" საყურებლად წავიდა. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სერიალის ყურების დროს მარხუანას ეწოდნენ. წყვილის ბავშვის შესახებ, კი ინფორმაცია სამწუხარო აღმოჩნდა - ის გარდაიცვალა".

<http://1tv.ge/news-view/73994>

ასავალ-დასავალი, 11-17 აბვისტო

მლისო კილაძე, გაზეთი „ქრონიკა“: "სხვათა შორის, მესხელი [ამირან მესხელი, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე] არ მალავდა თავის სექსუალურ ორიენტაციას. თავის დროზე განცხადებაც კი დაწერა - არატრადიციული ორიენტაციის ვარ და ჯარში არ წამიყვანოთ."

გაგრძელება გვ.10

სემსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 აგვისტო

რეჟო ამაშუკელი, მწერალი: "ციხეში შეხვედით ძმები [საუბრობს პარლამენტარ ლევან და დავით ბერძენიშვილებზე] და უკან გამოხვედით დები და გაფრთხილებით, რომ ჭკვიანად იყავით. სანამ კიდევ მოთმინება აქვს ქართველ ხალხს".

http://www.myvideo.ge/?video_id=2393384

ალია, 7 აგვისტო

გიორგი რაზმაძე, მღვდელი: „კოვა ყანდიაშვილზე მოგახსენებთ, საინტერესოა მისი შეხედულებები [კაზანტიპზე], ახლა რომ წამოყო თავი, ჯერ მისი ორიენტაცია გასარკვევი, რა მიმართულებით არის ეს ადამიანი და რა უნდა? ჩვენ კი ვიცით, მაგრამ მაგან თქვას და მერე გავცემთ პასუხს ყანდიაშვილისნაირ ადამიანებს.“

კაზანტიპი

ასავალ-ღასავალი,
11-17 აგვისტო

ღავით ისაკაძე,

დეკანოზი: „მამათმავლობა, დედათმავლობა, ლგბტ-სრული კომპლექტი-ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ნუდიზმი და ეს ყველაფერი ღიად ხალხის თვალწინ ხდება. როცა ისინი გაემგზავრებიან, დარჩება გარყვნილი გარემო, მრუშობის, მამათმავლობის და დედათმავლობის ცოდვაში და ნარკომანიაში ჩაფლული შვილები...“

ისინი დასცინიან მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, რადგან გარყვნილების მქადაგებელ თავიანთ ე.წ. ხელისუფლებას „კაზანტიპის სინოდს“ უწოდებენ.“

რეჟონანსი, 14 აგვისტო

ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი:

„კაზანტიპი სხვა არაფერია, თუ არა გარყვნილება, დედათმავლობა, მამათმავლობა და

ნარკოტიკების უკანონო მოხმარება.“

ალია, 7 აგვისტო

გიორგი რაზმაძე,

მღვდელი: „სოდომიც და გომორიც ასე ცხოვრობდა, როგორც ეს ადამიანები აზროვნებდნენ. როცა მათთან ყოვლადწმინდა სამება ანგელოზის სახით მივიდა, გაუპატიურება მოუნდომეს. ამის გამო მოიწვა ეს ადგილი და დღემდე იწვის. რა უნდათ ახლა ამ ადამიანებს, იგივე ცოდვები გაიმეორონ და ანაკლიაც დაიწვას?“

ალია, 5 აგვისტო

ბასილ მკალავიშვილი,

მღვდელი: "მთელი მსოფლიოს ანტიმართლმადიდებლური ძალების მხერა საქართველოსკენ არის მოპყრობილი... იქ, სადაც ჩამოჰყავთ ათასობით გეი, ჰომოსექსუალი, ლესბოსელი და სხვა, რა უნდა ჩატარდეს საღად

მოაზროვნე ადამიანის სასარგებლო?

...უფალმა წარდგა გარყვნილების გამო მოავლინა, სოდომ-გომორი მამათმავლების გამო მოსრა, აი, ამას ვიმზადებთ ჩვენ ე.წ. ფესტივალით.“

ალია, 8 აგვისტო

ლევან ჯავახიშვილი,

ჟურნალისტი: „...არ არის გამორიცხული, „კაზანტიპის“ გამო ანაკლიაში დიდი ტრაგედიაც რომ დატრიალდეს... აი, მერე უკვე ძალიან გვიანი იქნება სინანული, რომ ყირიმელი თათრების ამ ისტორიულ უმსგავსობას - „კაზანტიპს“ ფართოდ გავუღებთ კარი.“

დასაწყისი გვ. 1

- ამერიკული წყარო, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა, საუბრობს ერთ მშობელზე, რომლის დაუდევრობითაც ბავშვი დაიღუპა. პირველი არხი კი აქცენტს ხაზგასმულად “ჰომოსექსუალურ წყვილზე” აკეთებს. სამაგიეროდ, არხს არ აღუნიშნავს, რომ წყვილი 5 შვილის მშობელია.
- "მოამბის" წამყვანმა ამ ინციდენტის არასწორი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, როდესაც ინციდენტის გამუქებისას, მშობლების სექსუალური ორიენტაციის დაუსაბუთებელი მითითებით, შექმნა წინასწარი უარყოფითი განწყობა ლგბტ პირების მიმართ. სახელდობრ, წამყვანის საავტორო ტექსტში აღნიშნული იყო: "არატრადიციული ორიენტაციის წყვილს 10 თვის ქალიშვილი მანქანაში დარჩა - ბავშვი სიცხისგან დაიღუპა".
- ვაშინგტონ პოსტის ცნობით, მხოლოდ 2014 წელს, მხოლოდ შერთებულ შტატებში 21 ბავშვი დაიღუპა მას შემდეგ, რაც ისინი მშობლებმა მანქანაში, სიციხეში დატოვეს. "მოამბის" რედაქციამ კი მხოლოდ ჰომოსექსუალურ წყვილს თავს დატეხილი ტრაგედია შეარჩია, დანარჩენი 20 შემთხვევა კი არ გაუშუქებია. ბუნებრივია, ამ ტიპის ინციდენტების გამუქებისას საზოგადოებრივი ინტერესის საგანი ბავშვების სიცოცხლეს უკავშირდება და მშობლების სექსუალურ ორიენტაციას საკითხთან კავშირი არ აქვს.

პირის გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა კუთვნილება, მხოლოდ მაშინ უნდა აღინიშნოს, თუ ეს არსებითაა საკითხის გადმოსაცემად. მაგალითად, თუ დანაშაული პირის სექსუალურმა ორიენტაციამ განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში მშობლების ორიენტაციას ვითარების აღწერისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ამ სტანდარტის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ნეგატიური მოვლენების გამუქებას ეხება, რათა მე-

დიამ უარყოფითი სტერეოტიპების გაღრმავებას არ შეუწყოს ხელი. შედეგად, სახეზეა საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის 15.9 მუხლის დარღვევა, რომელიც სექსუალურ უმცირესობებს შეეხება. კერძოდ:

"ჰომოსექსუალები ხშირად შეურაცხყოფელი სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან. ჰომოსექსუალები და ბისექსუალები უმცირესობას შეადგენენ და გადაცემის ავტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინიც, სხვების მსგავსად, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ.

გადაცემაში ჰომოსექსუალის სექსუალური ორიენტაცია აღნიშნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თემას უშუალოდ უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაარღვევთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ხელს შეუწყობთ სტერეოტიპის გაძლიერებას."

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაუწყებლის ეთერში სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის ტირაჟირების გამო არასამთავრობო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივ მაუწყებელს საჯარო განცხადებით და თვითრეგულირების ორგანოში საჩივრით მივმართეთ.

სტანდარტის დამკვიდრების თვალსაზრისით, ვთვლით, რომ უადრესად მნიშვნელოვანია მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს როლი. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების საჩივარზე 18 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მეურვეთა უმრავლესობამ სიძულვილის ენა გამოხატვის თავისუფლების კანონმდებლობით გაამარ-

თლა და შეფასებისას არ იმსჯელა მაუწყებლის მხრიდან ეთიკური და პროფესიული ნორმების დარღვევაზე, ხელს არ უწყობს ქცევის კოდექსის მიზნის მიღწევას. კერძოდ, "კოდექსის მიზანია, ყველა სახის მაუწყებელი, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებელი, თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას" (მუხლი 4.1).

საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს საქართველოს ყველა მოქალაქის ტელევიზიას, განურჩევლად მისი იდენტობისა. ამიტომ, დაუშვებელია მაუწყებელი დისკრიმინაციის წახალისების წყაროდ იქცეს. მნიშვნელოვანია, არხმა გააცნობიეროს ყველა მოქალაქის წინაშე მისი ანგარიშვალდებულება და ადეკვატური უპასუხოს ყველა ისეთ შემთხვევას, რომელიც ცალკეულ ჯგუფთა სტიგმატიზებას უწყობს ხელს და აღვივებს შეუწყნარებლობას.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) იდენტობა საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) საფარი ასოციაცია "ლგბტ საქართველო" არამალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)